KSC

მაკრთელი საინფორმაციო ცენტრის

პრეს-ბიულეტენი

N 7
4.03.90
გამოდის ხვირაში ერთხელ

აზერბაიჯანისა და სომხეთის ოპოზიციური ორგანიზაციების შეხვედრა თბილისში

თბილისი 3.III 12 სთ-ზე კინოსტუდია "ქართულ ფილმში" მოეწყო შეხვედრა სომხეთისა და აზერბაიჯანის არაფორმალურ გაერთიანებათა წარმომადგენლებს შორის. შეხვედრა მოეწყო ედპ -IV დასის ინიციატივით ედპ-IV დასის პოზიცია სომხეთისა და აზერბაიჯანის შორის შექმნილ მძიმე სიტუაციაზე ზეიტრალური და შემრიგებლური იყო. მოლაპარაკებას უძღვებოდნენ ედპ-IV დასის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია და პრეს მდივანი ირინა სარიშვილი გ. ჭანტურიამ ორივე მხარეს შესთავაზა თავი დაანებონ მთიანი ყარაბახის გამო აეხილ შეტაკებებსა და სისხლისღვრას, მთელი ენერგიით იბრძოლონ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლების მიღწევის შემდეგ დიპლომატიური მოლაპარაკებით გადაწყვიტონ სადავო საკითხები. აზერბაიჯანის დელეგაციამ მხარდაჭერა გამოუცხადა ამ წინადადებას. ხოლო სომხეთის წარმომადგენლებმა კატეგორიული უარი განაცხადა საკითხის ასეთი გადაწყვეტისა-მი.სომხეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლის გზა არცახზე (მთიან ყარაბახზე) გადის. ამ საკითხში მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. გ. ჭანტურიამ წამოაყენა კავკასიის საკორდინაციო ცენტრის შექმნის იდეა, რომელშიც შევლენ სამივე რესპუბლიკის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები. საკორდინაციო ცენტრის შექმნის იდეა მოიწონეს ორივე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. მოლაპარაკებამ ამ მხრივ დაითოდ გაშალა ფრთები. ორივე მხარემ მცირე შესწორებებით მიიღო ეს იდეა. გამოითქვა აზრი რომ შემდეგშიც გაგრძელდეს მსგავსი შეხვედრები, ისინი ხელს შეუწყობენ კრემლის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით წარმატებით ბრძოლას. გამოითქვა აზრი, რომ შემდეგი შეხვედრა მოეწყოს უახლოეს თვეში. შეხვედრას ესწრებოდა კინოსტუდია ქართული ფილმის დირექტორი რ. ჩხეიძე .სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი ნ. გელაშვილი შეხვედრის შემდეგ მოეწყო პრეს -კონფერენცია.

ქრონიკა

„ადამონ ნიხასი" იმსახოვს ოურქების ჩამოსახლებას

ცხინვალი -27 (ა . უჩქმელიძე) რკინიგზის სადგურში დაზიანებული იყო ლიანდაგი რის შედეგადაც მატარებელი ცხინვალიდან თბილისში არ ჩავიდა. აღგილობრივი ოპოზიციური ორგანიზაციების აზრით ეს აქცია ჩადენილია ოსი მოსახლეობის მიერ.

თბილისი 27 II საღამოს 7 საათზე კინოს სახლთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მოაწყო ჰელსინკის კავშირმა და წმ. ილია მართლის საზოგადოებამ. მიტინგი ეხებოდა ე.წ. ფურქი მესხების საკითხს. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ჰელსინკის კავშირის თანამჯდომარე ზ. გამსახურდია. მან აღნიშნა, რომ მოსაღორნელია ე.წ. თურქი-მესხების ძალით ჩამოსახლება საქართველოში, რაც გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანს. ზ. გამსახურდიამ დაგმო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, აგრეთვე ცალკეულ პიროვნებათა (რ. ჩხეიძის, ნ. გელაშვილის, გ. მამულიას)პოზიცია ზემო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დასასრულს გამომსვლელმა თქვა, რომ იგი მიუშვებელ იქნა მხსკოვში ჩამოსულ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველის მიერ . ამასთან დაკავშირებით 9 აპრილს აღძრული საქმე ზ. გამსახურდიაზე დაიხურა.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ სამცხე-ჯავახეთიდან ჩამოსული მესხები, რომლებმაც მოიგონეს ე.წ. თურქ -მესხებთან თანაცხოვრების მძიმე წლები. მათ დაუშვებლად მიიჩნიეს ე.წ. თურქი მესხების ჩამოსახლება საქართველოში.

მსუ და 30 წთ-სთვის მიტინგის მონაწილენი მსვლელობით გაემართნენ ტელევიზიის შენობისაკენ. საღაც გაგრძელდა მიტინგი. მომიტინგეები მოითხოვდნენ მესხეთში გადაღებული ფილმის ტელევიზიით ჩვენებას და მიტინგის ტელეტრანსლიაციას. რამდენიმე საათში მომიტინგეებს ალუთქვეს მოთხოვნათა შესრულება

ფოთი 28. წმ.ილია მართლის საზოგადოების აქტივისტებმა ჩაატარეს კრება ფოთის საზღვაო პორტში რომელზეც მოუწოდეს არჩევნების ბოიკოტისაკენ.

თბილისი 28.II საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიწყო გაფიცვა, უნივერსიტეტიან კომპარტიის , კომკავშირის და სკკ-ის პირველადი

უჯრედების გატანის მოთხოვნით.

შეიქმნა სტუდენტური საგაფიცვო კომიტეტი, რომელ-ში შეიკრიბნენ სტუ-ში არსებულ არაფორმალურ გაერთიანებათა პირველადი ჯგუფების წარმომადგენლები. კვირეულ წმ. ილია მართლის საზოგადოების ოსტუ-ს (ოკუპირებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) ფილიალის სედპ-ს პირველადი ორგანიზაციის, „ედპ -IV დასის სტუდენტური კომიტეტის", „რესპუბლიკურ-ფე ერალური პარტიის სტუდენტური კომიტეტის, აგრეთვე სადისკუსიო კლუბის და სტუდენტური პროფკავშირების წარმომადგენლები. ამ ღონისძიებ შედგა სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა სადაც მიიღეს გადაწყვეტილება სტუ-დან კომპარტიის და კომკავშირის, სუკ-ის კი ნაწილობრივ გატანის შესახებ. საგაფიცვო კომიტეტს რექტორატის წარმომადგენლებმა აღუთქვეს, რომ ყველაფერი გატანილი იქნებოდა ორი კვირის განმავლობაში და მოუწოდეს გაფიცვის შეწყვეტისაკენ. საგაფიცვო კომიტეტმა იმსჯელა შეთავაზებულ წინადადებაზე და მიიღო გადაწყვეტილება გაფიცვის გაგრძელებაზე ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციათა ფიზიკურ გატანამდე სტუ-დან.

ბორი 01 (შ.ციმბალი) წმ.ილია მართლის საზოგადოების გორის ფილიალის ინიციატივით ჩატარდა მიტინგი, რომელსაც დაახლოებით 20000 კაცი ესწრებოდა. მიტინგის ძირითადი მიზები იყო გორის რაიონიდან რადიაციული ხორცის გატანა. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა გორის რაიკომის მდივანი კაკასაძე, რომელმაც გააამართლა ეს აქცია და პირობა მისცა ხალხს, რომ რადიაციულ ხორცს დაუყონებლივ გაიტანდა ქალაქიდან. 4 დღის განმავლობაში ხორცით დატვირთული ვაგონები ოკინიგზის სადგურში იდგა. ჰქონდა საშინელი სუნი, რომელიც მოსახლეობას აწუხებდა. იმავე დღის დაახლოებით ღამის ორი საათისათვის ხორცი გატანილ იქნა საქართველოდან და წაიღეს ბელორუსიაში.

თბილისი 28.II თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში, სტუდენტური კავშირის ინიციაციით დაიწყო საპროტესტო აქცია, მჯდომარე გაფიცვა მოთხოვნით, რათა ინ-ში გაუქმდეს იქნას კომკავშირისა და კომუნისტური პარტიის პირველადი ორგანიზაციები. გაფიცულია ინსტიტუტი. შეწყვეტილია სწავლა.

1 მარტს, ინსტიტუტში, შეიკრიბა კომკავშირის საბჭო; საბჭოზე ინსტიტუტის კომკავშირულმა კომიტეტმა თავი ოფიციალურად გამოაცხადა.

2 მარტს კი ინსტიტუტში ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ მიზანშეწონილად მიიჩნია საერთო -მაღალ სასწავლებლებში საზოგადოებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის პირველადი ჯგუფების შტაბ-ბინების არსებობა, მხარი დაუჭირა უმაღლეს სასწავლებლების დეიდეოლოგიზაციის და დეპოლიტიზაციის პროცესს და თავი გაუქმებულად სცნო.

ორშაბათს 5 მარტს ინსტიტუტში შეიკრიბა გაფართოებული საბჭო, რომელიც გადაწყვეტს ინსტიტუტის ატესტაციის საკითხს.

უმაღლესი სასწავლებლების დეიდეოლოგიზაციის და დეპოლიტიზაციის ასეთივე საპროტესტო აქციები, მიმდინარეობდა სამედიცინო ინსტიტუტში, ტექნიკურ უნივერსიტეტში, სოფლის-საბას სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში.

თბილისი 2.III მთავრობის სახლის წინ ხსნ-ზე ა-იმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მოაწყო წმ. ილია მართლის საზოგადოებამ, ეროვნული კავშირმა, სედპ-მ და მონარქისტულმა პარტიამ. მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე ზ. გამსახურდია, რომელმაც ილაპარაკა მოსკოვში ვ. ჰაველთან შეხვედრაზე. ზ.გამსახურდიამ განაცხადა, რომ ვ. ჰაველმა ქართველ ერს ალუთქვა აქტიური დახმარება მსოფლიო პოლიტიკურ სარბიელზე. გამოვიდა სედპ-ს თავმჯდომარე ი. წერეთელი, რომელმაც ილაპარაკა უახლოეს ხანში ჩატარებულ აქციათა შესახებ.

თბილისი 2.III .მჯდომარე აქცია სტუ-ს ადმინისტრაციულ კორპუსთან გაგრძელდა. ღამეც რექტორატი იძულებული გახდა უკან დაეხია და ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების პირველადი უჯრედების გატანა დაეჩქარებინა. ყველა კორპუსში ჩამოხსნეს აბრები და დალუქეს ოთახები, რომლებშიც მოთავსებული იყვნენ კომპარტიის და კომკავშირის პირველადი უჯრედები. ფაქტიურად დაკმაყოფილებულ იქნა გაფიცულთა მოთხოვნა. გაფიცვა და მჯდომარე აქცია შეწყდა.

ანალოგიური აქცია მიმდინარეობდა სამედიცინო, პედაგოგიურ და უცხო ენათა ინსტიტუტებში. გაფიცვები შეწყდა მოთხოვნათა რეალური დაკმაყოფილების გამო.

ლუსაკეში. 4 2 მარტს 5 საათზე წმ.ილია მართლის საზოგადოებამ და დამოუკიდებლობის პარტიამ ჩაატარეს მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ე.წ. " თურქი მესხების " საკითხს და სხვა რიგ პოლიტიკურ მოვლენებს საქართველოში.

ლანჩხუთში 4 . ქ. ლანჩხუთში ამ დღეებში წარმოებადაწესებულებებში ჩატარდა კრებები. სადაც მიიღეს რეზოლუცია იმის შესახებ, რომ ქ.ლანჩხუთის მოსახლეობა სასტიკი წინააღმდეგია ე.წ. "თურქი მესხების" ჩამოსახლებისა. ისინი უვერენ მხარს კომისიის გადაწყვეტილებას. დადგენილებაში ნათქვამია, რომ სანამ საქართველო სახელმწიფოებრიობას არ აღიდგენს , ყოველგვარ ჩამოსახლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჯერ-ჯერობით კი ლაპარაკი უნდა იყოს იმაზე, რომ ჩამოვასახლოთ ფერეიდანელი ან საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქებში ათი ათასობით მიმფანტული ქართველი მოსახლეობა, რეზოლუციის ტექსტი გაგზავნილია გ. გუმბარიძესთან.

გორჯომი წმ. ილია მართლის საზოგადოების წევრებმა წარადგინეს ულტიმატუმი რაიკომის I მდივანს გ. პეტრიაშვილს. ლენინის ძეგლის აღების მოთხოვნით. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში რაიკომის შენობაში დაიწყება მჯდომარე გაფიცვა. მათ დასვეს საკითხი აგრეთვე რაიკომის I მდივნის გადაყენების შესახებ.

გამოვიდა ორთვიური გაზეთ "ამბიონის " I ნომერი.

ცხინვალი 3 (ა.ეჩქმელიძე) ცხინვალის სამშობიაროს სახლის ექ.-ს ნათელა ნიკარაძეს მიეცა ვარვარა გაგლოევა -ფეოფანეა (ცხინვალის რაიონში ოსების მიერ მოკლული 9 თვის ბავშვის ბებია) და ექმა, რადგან ექიმმა არ შეასრულა მისი თხოვნა, ვარვარა გაგლოევა დაჭინებით სთხოვდა ნათელა ნიკარაძეს გადაეგზავნინა მოკლული ბავშვის მამა, რომელიც ექიმის ნაცვალი იყო, რათა მას თავისთავზე აელო შვილის მკვლელობა.

ცხინვალის რაიონში ოსმა მოსახლეობამ დაიწყო

ტყის გაკაფვა, რათა ავტომობილური გზა გაიყვანონ ჯაფისა და კვაის მიმართულებით, რადგან ქართულ სოფლებზე არ მოუხდეთ გავლა.

"ადამონ ნიხასის "ინიციატივით გროვდება ცხინვალში ხელმოწერები ე.წ. "თურქი-მესხების" ჩამოსახლების მოთხოვნაზე. ქართულ ქუჩებს თვითნებურად არქმევენ ოსურ სახელებს.

ზუგდიდი 3 აქ დღის 2 სთ რეგიონალური სახალხო ფრონტის ინიციატივით გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი. მიტინგის მონაწილეებმა დაადანაშაულეს რაიონული ხელმძღვანელობა კორუპციაში და ეროვნულ პრობლემებისადმი გულგრილობაში. მოითხოვეს მათი გადადგომა.

ანალოგიური მიტინგები გაიმართა 28 თებერვალს და 1 მარტს, ამ მიტინგებზე გამოვიდა საქართველოს მარიონეტული მთავრობის პრემიერ-მინისტრი. მან ალუთქვა მომიტინგეებს რომ უახლოეს ხანში მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნებოდა.

სოხუმი 4 (მ.პატარაია რ.ს. და ვ.ჭანია ილია ჭავჭავაძის საზოგადოება) 25 თებერვალს რუსთაველის საზოგადოებამ მოაწყო 100-150 კაციანი მიტინგი. შემდეგ მოეწყო მსხელობა ახლად გახსნილ წმინდა ილია მართლის ეკლესიისაკენ.

ამავე დროს თეატრის შენობაში შესდგა ყველა ქართული არავორმარული საზოგადოებებისა და პარტიების შეკრება. ამ შეკრებაზე აზრთა გაყოფა მოხდა, ზოგი მოითხოვდა მიტინგის გამართვას თამაოის ხიდთან, ხოლო ზოგი თეატრის შენობაში, ხმათა უმრავლესობით გადაწყდა , რომ გამართულიყო თეატრის შენობაში. არჩევნებისათვის რუსთაველის საზოგადოებას დასახელებული ყავს 15 დეპუტატი გუდაუთში სამ საარჩევნო უბანში დასახელებულია ოზგან .

ამავე დღეს გაღში სხვადასხვა პოლიტიკურმა საზ-ბა და პარტიებმა ჩაატარეს ხალხმრავალი მიტინგი.

ახმეტა 4. 25 თებერვალს დიდძალი ხალხი შეიკრიბა ბიძინა ჩოლოყაშვილის მთავარ ანგელოსის შენობაში, იქიდან კი მსვლელობით გაემართნენ რაიკომის შენობისაკენ .საპროტესტო აქცია მოაწყო ახმეტის წმ. ილია მართლის საზოგადოებამ და საქ. ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ. ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

ახმეტაში ადგილობრივმა ოსმა მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი, რომ დატოვონ ახმეტა და გადავიდნენ ჩრდილეთ ოსეთში საცხოვრებლად,

ახმეტაში ქისტების ხუთამდე სოფელია, სადაც ადგილობრივმა ქისტებმა, შექმნეს თავიანთი საზ-ბა საქ. ეროვნულ გამანთავისუფლებელი მოძრაობის მხარდასაჭერად.

დამთავრდა არჩევნები ესტონეთის კონგრესში

ტალინი 3 . (ვ. კალაბუგინი -ესტონეთის სახალხო ფრონტი) ახლა ესტონეთი იმყოფება ორ არჩევნებს შორის შუაეღში : ახლახან ჩატარებული ესტონეთის კონგრესისა და უმაღლესი საბჭოს არჩევნებს შორის. უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდება 18 მარტს. ესტონეთის კონგრესში არჩევნების შედეგები ჯერჯერობით ცნობილი არ არის . კონგრესი იქნება ესტონეთის მოსახლეობის პირველი წარმომადგენლობითი თავყრილობა ოკუპაციის 50 წლის განმავლობაში. და მან უნდა იპოვოს ესტონეთის დამოუკიდებლობის გაღოცხადების გზები . ამ არჩევნებში ,რომლებიც მოეწყო 24 თებერვალს მონაწილეობა მიიღო საარჩევნო ხმის მქონე ესტონეთის მოსახლეობის დაახლოებით 80 %-მა. ასეთი დიდი მაჩვენებელი მიღწეულია მიუხედავად იმისა ,რომ ადგილი ჰქონდა ყოველნაირ დაშინებას, მიჩუმათებას ხელისუფლების მხრიდან. უკანასკნელი კვირების განმავლობაში ხელისუფლებამ მოახდინა სწრაფი შეცვლა საკუთარი შეხედულებებისა ამ არჩევნების მიმართ, დაინახა რა თუ როგორი მხარდაჭერა ჰპოვა ხალხში ეროვნული კონგრესის მოწვევის იდეამ .ყველა ეეტრად გახდა ამ იდეის თანამგრძნობი. პარტიის მრავალმა ხელმძღვანელმა სწრაფად შექმნა პოლიტიკური მიკროორგანიზაცია და თვითონ წამოაყენა საკუთარი კანდიდატურა კონგრესის დეპუტატად. ნათელია, რომ კონგრესზე ნამდვილად იქნება წარდგენილი მთელი ესტონეთი, მთლიანი პოლიტიკური სპექტრი იმათ ჩათვლითაც, ვინც ოკუპაციის 50 წლის განმავლობაში რყვნიდა და ჰყიდიდა-საკუთარ ქვეყანას. კონგრესზე იქნება სერიოზული მსჯელობა ესტონეთის მომავლის შესახებ.

ესტონეთის კონგრესი გაიმართება 11-12 მარტს. 18 მარტს ტარდება უმაღლესი საბჭოს არჩევნები, შემდეგ კი გაიმართება თვით ახალმოწვევის უმაღლესი საბჭო, რომელსაც უკვე ახლა, წინასწარ კომუნისტ-პროპაგანდისტები უწოდებენ "პირველ დემოკრატიულად არჩეულ პარლამენტს". უკეთებენ რა იგნორირებას ესტონეთის კონგრესს, ისინი ცდილობენ დაკანონონ ხელისუფლების ეს მარიონეტული ორგანო - უმაღლესი საბჭო, რითაც ტოვებენ კანონიერების მოჩვენებითობას.

• საზღვარგარეთის ამბები •

ერევანი 2. (სსომ-ის პრეს -ცენტრი) თავისუფლების მოედანზე ჩატარდა სსომ-ის მორიგი საინფორმაციო მიტინგი. გამგეობის წევრმა ა. ხაჩატურიანმა ყურადღება გაამახვილა მიმდინარე მოვლენებზე, კერძოდ მან ისაუბრა იმ მოლაპარაკების შედეგებიე ,რომლებიც დაკავშირებული იყო სსომ-ისათვის ტელევიზიის ეთერის დათმობაზე. 28 თებერვალს რადიო სახლთან შეკრებილი 500-მდე ადამიანი გაემართა მთავრობის სახლისაკენ, სადაც მთავრობის წარმომადგენლებმა თავი გაიმართლეს იმით რომ ვითომდა შემოსუ-

ლი არ იყო შეკვეთა ასეთ გადაცემებზე.

რ. კაზარიანმა გააკეთა ინფორმაცია მისი საფრანგეთში ყოფნის შესახებ. ი.ავგარიანმა ისაუბრა სომეხი ახალგაზრდობის მიმართ მასიური ძალადობის ფაქტების შესახებ, რასაც ადგილი აქვს საბჭოთა არმიაში. ხ.სავგოსიანმა გაამახვილა ყურადღება გეტაშენის რაიონში მიმდინარე მოვლენებზე. მთლიანად არიან დეპორტირებულნი სომხები სოფელ აზატიდან მოსახლეობა გადაყვანილ იქნა შვეულმფრენებით, ხოლო ბარგი გადაიტანეს ქართულ და რუსულ ნომრიანი აიტომანქანებით. როგორც ჩანს ასეთივე ბედი ეწევათ სოფ. კამოს მაცხოვრებლებს. ეს სოფელი მთლიანადაა მოწყვეტილი გეტაშენიდან. მან ისაუბრა იმ მოთხოვნებზე, რომლებიც ამ ფაქტებთან დაკავშირებით წაუყენა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მიტინგის მონაწილენი გაემართნენ უმაღლესი საბჭოს შენობისაკენ რათა მთავრობისათვის მოეთხოვათ რომ საპროტესტო გაცხადება სომეთთა დეპორტაციასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულიყო მეორე დღის გაზეთებში (3 მარტს უმაღლესმა საბჭომ მიიღო ეს პროტესტი და იგი გამოქვეყნდა რესპუბლიკურ გაზეთებში)

ერევანი 2. (სსგმ -პრეს-ცენტრი) უმაღლესი საბჭოს შენობის წინ გრძელდება მჯდომარე აქცია 5ი-ზდე კაცის მონაწილეობით. აქციის მონაწილეთა მოთხოვნებია: სომხეთში ჩატარდეს რეფერენდუმი სომხეთის პოლიტიკური სტატუსის გარკვევისათვის, პარეირ აირიკიანის სამშობლოში დაბრუნება და სხვა.

სომხური ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა აქტივისტმა უ.პოლოსიანმა რომელსაც ანალოგიური მოთხოვნებით 18 თებერვლიდან გამოცხადებული ქონდა შიმშილობა, 28 თებერვალს შეწყვიტა იგი და შეუერთდა მჯდომარე აქციის მონაწილეებს.ეს მან განაცხადა რესპუბლიკური ტელევიზიით გამოსვლისას.

ტაშკენტი 3 3 მარტს ტაშკენტის ოლქის პარკენტის რაიონში ჩატარდა 5000 კაციანი მიტინგი და მსვლელობა. ქალაქში ჩამოსულმა ჯარისკაცებმა ცეცხლი ლა-პინეს მომიტინგეებს. წინასწარი ცნობებით დაჭრილია 50 კაცი. რადიოსადგურ თავისუფლების მოსკოვის ბიუროს ცნობით მომიტინგეები ითხოვდნენ ფასიფიცირებული არჩევნების შედეგების გაუქმებას, ხოლო ოფიციალური პრესა იუწყება, რომ მომიტინგეები ე.წ. ფერგ-ფესხების გასახლებას ითხოვდნენ.

პრეს- რეიტ "გლასნოსტის" ცნობით თებერვლის შუა რიცხვებიდან უზბეკეთში აკრძალულია ყველანაირი მიტინგები და მსვლელობები.

ერევანი 4. (სსგმ-ის პრეს -ცენტრი) ეროვნული თვითგამორკვევის გაერთიანებაში გაიმართა მწვანეთა კავშირის კრება. მასში მონაწილეობდნენ სხვა ეკოლოგიური ჯგუფებიც. მათ მიმართეს სომხეთის სსრ უმაღლეს საბჭოს განცხადებით რომლის ძირითადი პუნქტებია: 1. შეიტყალოს უმაღლესი საბჭოს "ნაირიტის "კომისიის თავმჯდომარე დოიანი და გაფართოვდეს კომისიის შემადგენლობა.

2. ლენინგრადში ან ალის ბრძანება "ნაირიტის " დახურვის შესახებ (ახლა"ნაირიტი" გაჩერებულია). მუშები ისევ იღებენ ხელფასს საღიკვიდაციო თანხის ნაცვლად. მძიმემეღია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები არ იჭრება. " ნაირიტი" ჯერ კიდევ არ გადაფარა ქალაქის საბჭოს. "ნაირიტის " პიკეტირება გრძელდება ... ვგ გრძელდება მჯდომარე აქცია უმაღლესი საბჭოს შენობის წინ.

ვორკუტა 5 ("გლასნოსტი") ჩატარდა არჩევნები ადგილობრივ საბჭოებში. 4 მარტის 18.00 საათისათვის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა ამომრჩევლების 56%-მა საარჩევნო კომისიამ რადიოთი მიმართა მოსახლეობას აქტიური მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. პრაქტიკულად ბოიკოტირებული იყო საბჭოთა არჩევნები ვორკუტასთან მდებარე მეშახტეთა დასახლებებში. ეს იხსნება დკ-ის და დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობის ორგანიზაციის ფართო წინასაარჩევნო პროპაგანდით.

მეშახტეთა საგაფიცვო კომიტეტმა ხაღხს მოუწოდა მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში და მხარი დაეჭირათ საგაფიცვო კომიტეტის კანდიდატებისათვის

კიშინიოვი 5 (მ. გინფუ) დამთავრდა მოლდავეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების I ტური სახალხო ფრონტის კანდიდატების 60% -მა გაიმარჯვეთავიანთ სტარჩევნო ოლქებში. არჩეულია 26 რაიკომის მდივანი, რამდენიმე მათგანი სტ-ის მხარდამჭერით სარგებლობდა.

ნოვოსიბირსკი 6 ("გლასნოსტი") ციმბირის სამხედრო ოლქის მთავარსარდალმა გენერალ-მიკულჩიკმა საქალაქო რადიოთი გამოსვლისას პირველ მარტს განაცხადა ,რომ ბაქოში იანვარში მომხდარი ხოცვა -ყლეტის შემდეგ ციმბირის ოლქში მომსახურე აზერბაიჯანელები აცხადებდნენ შიმშილობას და უარს ამბობდნენ ბრძანებების შესრულებაზე. მიკულჩიკმა თქვა რომ დღისათვის ეს მცდელობები აღკვეთილია ჩატარებული აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად.

მოსკოვი 4. (ე. მოლჩანოვი "დ.კ.") 12 მარტს დემოკრატიული კავშირის ინიციატივით მოსკოვში ჩატარდება მიტინგი რომელიც მიეძღვნება 1917 თებერვლის რევოლუციას რუსეთში.

ქართული საინფორმაციო ცენტრი ღებულობს შეტყობინებებს. შეტყობინების გადმოსატანად მიმართეთ შემდეგ მისამართზე : თბილისი 380060, საბურთალოს ქ .№7 -2 სადარბაზო გ. 31 მაისურაძე ზურა .

ქართული საინფორმაციო ცენტრი

ნიკა გაბრიჩიძე (დროებითი კოორდინატორი)
ტელ. 23-20-65 ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის I შესახვევი № 2 ბ. 58.
კახა გაგლოშვილი ტელ. 31-55-42
ზურა მაისურაძე ტელ 38- 76-50
მამუკა მაისურაძე ტელ. 35-34-74
ნიხეილ თავხელიძე ტელ 38-69-26
გიორგი შენგელია ტელ. 51-48-48
მანანა მელაძე ტელ. 72-48-48
[illegible] მოსეფვილი ტელ 34-41-41
მაია შეყელაფვილი 38 -69-26
გია ანდრიაძე